სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/63

ქ. თბილისი 22 მარტი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო
თანამდებობის დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსისათვის დამატებითი
პირობების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ[2] ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის რ[5] ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ნ[1] ქვეპუნქტის, სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დებულების, ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების (სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №2 ოქმი) და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის დამატებითი პირობები ქვემოთ მითითებულ სამეცნიერო თანამდებობაზე:

	თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
	ოპტიმალური მართვის პრობლემების განყოფილება		
1	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	0,5	მათემატიკოსი, **უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:** გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალსა ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში), მათგან 1 მაინც უნდა იქნეს გამოქვეყნებული რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებში ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**